

512
1985

ISSN 0272-5967
საბავშვო
აღმავლობა



1985 თებერვალი № 2

ბავშვთა
აღმავლობა

ჩვენი ტურფა რესპუბლიკა

ვიორგო წამათელი

რა ღამისი დადგა დილა,
ზემია შინ და გარეთ,
ოცდახუთი თებერვალი
მიფულოცოთ მშობელ მხარეს.
ძველი ჩაგვრა, სიღუსტირე
და ცრემლები ახსოვს ვიღას,
დღეს ახალი შუქით ბრწყინავს
ჩვენი ტურფა რესპუბლიკა.

მხატვარი ნანა მურულუია



მეც ჯარისკაცი გავსდები

მთვარისა მათიძე

თორნიკეს ქუდი მასურავს,
მისი ჩემქები მაცვია,
თორნიკე ჩემი მძაა და
ნამდვილი ჯარისკაცია.
როდესაც წამოვიზრდები,
— არ მეუჭვება წამითაც—
მეც ჯარისკაცი გავსდები
და ჩემს სამშობლოს დავიცავ.

შველი ზამთარი



17.9.73

შველი მარტო იყო. მარტო დადიოდა ზამთრის დანალულიანებულ ტყეში. წიწკნიდა ნელ-ნელა შემოიჩინებოდა ბაღებზე. კვნიდა ნორჩ ულორტებს, მწვინედ უჭაფდებოდა პირი. ჩადიოდა ჩაღრმავებულ ტყეში, ხმელი ფოთლებით სავსე ოდნავ ჩაბნეულ ხეებში, დაეწაფებოდა პაწაწინა ტალღების ლიკლიკით მიმავალ მოშავო წყალს, სკუპით გადატებოდა იმ წყალზე, ავიდოდა მალა, გაჩერდებოდა, იხედებოდა აქეთ-იქით. თუკი საეჭვოს არაფერს იგრძნობდა, ჩუმად დაიხავდებოდა, — ბეე! ბეე! — არაფერს გამოეპასუხებოდა და ისევ წავიდოდა, ისევ მისწიწკნიდა ბაღებზე. ამოიჩინებდა მთლად დიდ ხეს, იქაც დააპურადებდა, შეცვიებულებით აიღებდა და ფრთხილად დადგამდა ფეხს. მერე ჩაიკრიფებოდა ხის ძირში, იწვა, სთვლემდა, მშვიდად სუნთქავდა, მაგრამ თვალებს მაინც მალ-მალე ახელდა. გაახელდა. თავაწიული გაპურებდა ტყეს, ხეების მალა ჩამოჭურჭულ ცას. ცას რაღაც ცუდი საშხადისი ჰქონდა. დამძიმებული ღრუბლები დაბლა-დაბლა იწვიდნენ, ედებოდნენ მალალი წიფლების კენწეროებს, თითქოს მოჩურჩულებდნენ კიდევ. შველი მაინც ხუჭავდა თვალებს. ჩამოიარა ღმუცუნით, შლაგამლუგით ღორების კოლტამ. შველი უფრო შეფიქრიანდა. წამოადგა. დაკვირვებით, ცისკენ ხშირ-ხშირი მზერით ისიც ნელ-ნელა ჩავიდა ქვემოთ, მაგრამ სადღაც გავარდა თოფი, ერთხელ, მეორედ, შველი მობრუნდა და ისევ ზევით გაიქცა. გაჩერდებოდა და შემკრთალი მოიხედავდა უკან. თითქოს თოფის ხმა იყო ნიშანი, წამოვიდა თოვლი. ჯერ კანტიკუნტი ფიფქები, მერე ხშირი, ისეთი ხშირი და დიდი ფანტელები ჩამოდიოდა, იმათ ჩამოაბნელეს თუ ისედაც დაბინდდა. შველი მაინც წიწკნიდა ბაღებზე, ჩქარა-ჩქარა ატოკებდა ყბებს, ასწევდა თავს და აპურადებდა. ჩამოდიოდა ზღვად ფანტელები. ხეებს ტოტები შეეფუფხვლათ. შველს წელი დაუსველდა. წავიდა, ჩამდენიმე კამარა შეჰკრა. ბებერი, გადმოზნექილი მუხა მონახა, იმის ძირში გაჩერდა. დამდებოდა. იდგა, ყბებს ატოკებდა, თან თოვას უყურებდა. ერთი გაბმული ჩამაწუნ-ჩურჩული ისმოდა. ჯერ ზეზურად დახუჭა თვალები, მერე ჩაწვა, მუხის ამოზნექილი ფეხების შედრმავებაში შეიყუწვა, მალღიდან ტოტებგაგარანილი მუხა გადმოჰფარებოდა.



მხატვარი თამაზ ხუციშვილი

საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. ჩესკოვ.
ვიბლიოთეკა



ტოტბიცი. შველი წამოხტა. იცდიდა, კიდევ რა მოხდებოდა. ეჩვენებოდა, რომ თოვამ მატყურობდა. კიდევ ჩამოტყდა საღვაც სხვა ტოტი. შველი იდგა და კანკალებდა. ბოლოს მაინც დაწვა, ისევ თვალები დახუჭა, დაიძინა. რომ გარეშრავდა, შემკრთალი წამოდგა. თოვლი გალავანივით შემოვლებოდა ირგვლივ. ისევ ჩამოდიოდნენ ფიჭვები. შველმა ისკუპა, თოვლის გალავანს გადაევივო, მაგრამ მუცლამდე ჩაიფლო. კიდევ ისკუპა. ნახტომი არ გამოუვიდა. ხტებოდა, თოვლს აბუქებდა. შეშფოთებული შეჩერდა. იდგა. აქეთ-იქით იხედებოდა. საცოდავად დაიხავლა. თოვლში იწვა, მალლიდანაც თოვლს ადებდა. მობრუნდა, თოვლის ბუქებით ისევ მუხასთან მივიდა. მუხის ძირში სიმშრალეც იყო, სითბოც, ხმელი ბალახებიც. ის ბალახები მოწიწუნა. მერე ხავსიც შეახოხნა მუხას. იდგა, ტოკავდა, ასწევდა და დაადამდა ხან ერთ ფეხს, ხან მეორეს. მიბრუნდებოდა. ელოდებოდა მუხს. მოვიდოდა მზე, თოვლს დაადნობდა. დაბლა დასწევდა, შველი ტუვეობიდან ვათავისუფლდებოდა. მაგრამ ისე დაღამდა ის დღე, არც მზე გამოჩენილა, არც თოვა შეწყვეტილა. თოვლის გალავანმა იმდენად აიწია, აუტყუელავება უხდებოდა, რომ დაბლა გადაეხტა. აუტყუელავდებოდა, გადაიხედავდა დაბლა, — რა უნდა დაეინახა? თერთად მიბუნდოვანებული ტყე, თოვლი, თოვლი, — დაიხედავდა უკან, მიეკრებოდა მუხას და იდგა, ან ხავსს ახოხნიდა. ხან აქ, ხან იქ ტუდებოდა ტოტბიცი. შველმა იცოდა, რა ხმებიც იყო ეს, მაინც კრთებოდა. დაწვებოდა, ჩაეძინებოდა, მალევე გაიღვიძებდა, სიცივით შეწუხებული წრიალებდა, ისევ დაწვებოდა. მხოლოდ ვათენებისას ჩაუჩნდა აველაფერი. თოვა შეწყვედა. ხეებს შორის ვარსკვლავები გამოჩნდა. უინვამ იმატა. მაგრამ შველს მაინც თვალეებში იმედი ჩაუდგა. მალე მზე მოვიდოდა. მართლაც, მთლად რომ ვათენდა, ჯერ მზის სხივები მოვიდნენ ხეების კენწეროებზე, მერე თვითონ გუფლით მცინარი მზეც მობრძანდა. შველი შემაკრებდა, შეშფოფინებდა, კუნდ სიხარულით აქიცინებდა. დაიწყო თოვლმა დნობა. შველი ვაფაციცებული უსმენდა ხეებიდან თოვლის ნაფლეთების ცვენას. სულ ეჩვენებოდა, ვიღაც მოდიოდა რბილ თოვლზე. ნაშუადღევისთვის მზემ ისევ იმშალავრა, საცა შველი იდგა, იქ წყალმა გამოჟონა. თოვლის გალავანი აშკარად დადაბლდა. მხიარული კივკივით მოფრინდა მუხაზე ორი


ვა. შველი წამოვდა. მუხას ეკვროდა, კანკალებდა თან შიშით, თან სიცივით. მგლის უმუილი უფრო შორიდან მოისმა. ამან ცოტა დაამშვიდა, მაგრამ მუხას მაინც არ მოსცილებია. ასე იდგა დიდხანს. ხან დახუჭავდა, ხან გაახელდა თვალეებს. ბოლოს, დაღლილი, ვათანგული, ისევ დაწვა, დაიძინა. ძილში ესმოდა ფიჭვების ჩამოჩუმიც კი. შუალამისას წყფობის დიდი ტოტი ჩამოტყდა, ლაწინით ჩამოიტანა იმ ტოტმა სხვა

კოდლა, ატხებს კაკუნს. უფურება შველი კოდალუბს, მათ გარჯას, თვითონაც გული ეძლეოდა. ხავს ველარ სწვდებოდა, ვადახტა თოვლის გალავანს იქით, წინა ფეხებით ამძვლედა თოვლს, მიფორთხავდა, წვალებით მიაღწია რცხილის ტოტებამდე. დაბარბეული კენეტდა, ლეპავდა, აქეთ-იქით იხედებოდა. ტყე ახლა ძალიან ნათელი იყო, თოვლზე ხეების გრძელი ჩრდილები იწვა. სინათლაც აშინებდა. სულ დაუსველდა ფერდები. მზე რომ ჩასასვლელად მიუახლოვდა გორის თხემს, უინვამ იმატა. სველი ფერდები შეეყინა. ისევ მუხასთან დაბრუნდა. ძალიან ცოცხალი იყო იქაც მშრალი. იმ მშრალზე მიიპუქა. მოიკუნტა, მთლად დაპატარავდა. ეძინა, არც ეძინა. შეღამებისას ისევ მოისმა მგლების უმჟილი. ადგა, დაფეთებული იყო, ცახცახებდა. მაგრამ მგლები არ მოახლოებულან. ისევ დაწვა. მთელ ღამეს ჩახჩახებდა ყველა ვარსკვლავი. უინვას ტაკუნს გაჰქონდა, სხეულს უთანგავდა. ადგებოდა, ადგილზე ტრიალებდა, თითქოს ბუზანკლებს იგერიებდა, მუხას ეხახუნებოდა. დაწვებოდა. ისევ ადგებოდა. ბოლოს, როგორც იქნა, გაღუული მთვარეც გამოჩნდა. ახლა მალე გათენდებოდა. დაიწყო გათენებაც. საცაა მზის სხივებიც მოვიდოდნენ ხეების კენწეროებზე. ველარ მოითმინა, ისკუპა, ვადახტა თოვლში მზის მოსასვლელისკენ. პირ-შეყინული თოვლი ფხლანუნით ჩაუტყდა, მუცლამდე ჩაიქედა. უნდოდა კიდევ ესკუპა, მაგ-

რამე უინულებმა არ გაუშვეს. შიშმა შეიპყრო, აბორგდა. უინულები მიმოამხვრია, ეტყუნებოდა. ვადახტა, ისევ მუცლამდე ჩაჯდა, იქაც ვადახტა, იქიდანაც ვადახტა, ისევ უინულებში ჩაიქედა, ახლა უკვე მიწამდე ვერ დაწვდინა ჩლიქები. თითქოს ჰაერში ვაჩრდა. ამაოდ ატოკებდა ფეხებს. მუხლბუთსაც წვა იგრძნო, მკერდთანაც. თოვლზე სისხლიც დაინახა. ამან მთლად თავზარი დასცა. საცოდავად დაალო პირი, დაიხავლა. დახედდაც სისხლს და დაიხავლებდა. ველარ ერეოდა ფეხებსაც. ფერდებით უინულს შეეწვება. სიცვისაგან შიგნულიც ასტივდა, მარტო თავსა ახავავებდა. ხაოდა, ცრემლი ჩამოსდიოდა. ბოლოს, როგორც იქნა, მზეც მოვიდა. ახლა მოცდალა იყო საჭირო. თავი მხარზე დაიდო, ძირს დაუვარდა, აღარც აწვია, მთლიანად მზეს მიენდო. მაგრამ მალე მზეს ბურუსი გადაეფარა, ბურუსი გადაეფარა მთელ ცას. შველი ისევ შიშის ზარმა აიტანა. ტოკავდა, ველარც ტოკავდა. ხაოდა, მზეს ეძახდა. ღაპალუპით ჩამოსდიოდა ცრემლი. მზე მაინც არ ჩნდებოდა. შველს ცისკენ ჰქონდა აწეული თავი, ისევ ხაოდა, ისევ მზეს ეძახდა. მერე აღარც ხმა ჰქონდა,—პირდაღებული უბნოდა შესტორადა მზეს...

— მიხედე, მზე, თოვლში ჩაყინულ შველს!— შორეულ გრგვინვასივთ გაისმა ღრუბლებში. ვადახტარულ ცას ნელ-ნელა უჩნდებოდა ლურჯი, ლურჯი ბზარები...





„მე, ქართველი ბუხაიძე, ბალყარეთის მთებში ვწევრებოდა, რომ შემძღლოს საფლავიდან, ძნებო, მზრების წამოწევა, მე სიკოცხლეს ზელმეორედ შევწირავდი მშობელ მზარეს, შევწირავდი იმვე მიწას, დღეს რომ გულზე დამაყარეს“.

ეს ლექსი ირაკლი აბაშიძის დაწერილია. თაობები გაიზარდნენ ირაკლი აბაშიძის ლექსებზე და კიდევ თაობები გაიზარდებიან; თაობებისათვის ცოდნისა და გულისხმის წყარო იყო მისი პოემა „რას გადაურჩა თბილისი“; თაობებს ახალისებდა და თან თვალსაწიერს უფართოებდა მისი შესანიშნავი თარგმანები მსოფლიო თუ რუსული პოეზიიდან.

ირაკლი აბაშიძე ქართველი ხალხის საყვარელი პოეტია, მაგრამ არა მარტო პოეტი, — მეცნიერიც, საზოგადო მოღვაწეც, მოქალაქეც.

ჯერ კიდევ ამ ორმოცდაათი წლის წინათ, 25 წლის ირაკლი აბაშიძეს წილად არგუნეს დიდი პატივი, — სხვებთან ერთად ქართული მწერლობის წარმომადგენლად დასწრებოდა საბჭოთა ქვეყნის მწერლების პირველ ყრილობას.

როცა მან კრემლის კავშირების სახლის სექტე-ბიან დარბაზში რუსთაველის პორტრეტი დაინახა, სიამაყის „ღელევა და ერუანტელი“ იგრძნო... იქნებ მაშინ ვაღაწყვიტოა თხზვასთან ერთად თავისი შე-მოქმედებითი უნარი, მეცნიერული აღლო, მოქა-ლაქეობრივი გზება რუსთაველის სახელის სამსა-ხურად დაედო... გავიდა ხანი. ირაკლი აბაშიძემ ინდოეთსა და პალესტინაში რუსთაველის ნაკვალე-ზე იარა; ჯვარის მონასტერში დიდ ქართველ მე-ცნიერებთან აკავი შანიძესა დი გიორგი ვერეთელთან ერთად მიაკვლია შოთა რუსთაველის მოხსუტებულო-ბისდროინდელ ფრესკულ პორტრეტს. როგორც პოეტმა, დაწერა ბრწყინვალე ლექსები ციკლი „რუსთაველის ნაკვალეზე“... როგორც ერისკაცმა და მოღვაწემ, უდიდესი ამაგი დასდო შოთა რუსთა-ველის 800 წლის იუბილეს აღნიშვნას მსოფლიო მასშტაბით...

დღეს ირაკლი აბაშიძე რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატია.

სამწერლო თუ საზოგადოებრივ სარბიელზე მრავალგვარი მსახური გაუწევია თავისი ხალხისათვის საქართველოს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს, პოეტ-აკადემიკოს ირაკლი აბაშიძეს.

ირაკლი აბაშიძე

„ო, ენავ ჩემო, დედაო ენავ,
შენ, ჩენო ნიკო, სრბოლავ და ფრენავ,
შენ, ჩენი სუნთქვის დილა ალაშო,
შენ ქირთა ჩენთა ტკბილო მალამო“...

ყველა ქართველმა ბავშვმა იცის ჩენი ძვირფასი დედანის შესახებ ნათქვამი ეს მშვენიერი სიტყვები... მათი ავტორია პოეტი ირაკლი აბაშიძე.

ყველა ქართველი ბავშვის დედამ და მამამ პატარაობაში ზემირად იცოდან:

„ჩემს სათაყვანო მზარეში
სულ განთიადი მგონია, —
ჩვენებრ დიადი სამშობლო
ჯერ არსად არვის ჰქონია“.

ამ ლექსის ავტორიც ირაკლი აბაშიძეა. ყველა ქართველი ბავშვის ბები და ბაბუა თავის ბავშვობაში მღეროდა ლექსს კაპიტან ბუხაიძეზე, რომელიც კავკასიის მთებში შეაკვდა მტერს, რომ მშობლიური საქართველოსაკენ მისთვის გზა გადაე-კეტა...

თითქმის ოცი წელია ის სათავეში უდგას საშვილიშვილო საქმეს— ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის გამოცემას, რომელიც დღევანდელი ახალგაზრდების, დღევანდელი ბავშვების და მათი შთამომავლების უსაქიროეს წიგნად იქცევა.

ირაკლი აბაშიძე 75 წლისაა, მაგრამ დღესაც ახალგაზრდული ენერგიით იღვწის, გმირული ძალიანსმევით ზიდავს საქველმოქმედო კამპანს, ძველებზეარად

წელგამართული და მხნეა ცხოვრებაშიც, შემოქმედებაშიც, საერო საქმიანობაშიც. სულ ახტანსაქმის ცილისტური შრომის გმირის ირაკლი აბაშიძის სახელი ჩვენმა ახალგაზრდობამ საქართველოს ალკ საპატიო წიგნში შეიტანა.

მართლაც, ირაკლი აბაშიძის სიტყვებითვე რომ ვთქვათ, „თუ ხარ ნამდვილი“, „არც დრო, არც სიერც, არც ასაკი შენ არ გეგება“...

ირაკლი აბაშიძე

მიმიხარია სოფლისკენ

მიმიხარია სოფლისკენ,
სადაც ზურმუხტი მთებია;
პირველი შემეგებება:

„შენ შემოგვეღოს ბუბია!“
ღობესთან ჩაიკისკისებს
წუარო ცივი და ანკარა;
ხელებზე შემომახტება
ბაბუას ეურშა პატარა.

ვაი, თუ აღარ ვახსოვარ,—
მას შემდეგ მთელი წელია,



მთელი წელია მოკითხვა
ერთხელ არ მიმიწერია.
იქნება ნიძაც შემდურის,
იქნებ შემდურის მერცხალაც,
მეზრამ რა მექნა, სკოლაში
მე ვანა მათთვის მეცალა?!
სწავლის დროს სწავლა გმირული
მოსწავლის შესაფერია.
ანლა ვიქროლოთ ვუღებში,
მთელი ზაფხული ჩვენია.
მიმიხარია სოფლისკენ,
სადაც ზურმუხტი მთებია;
სოფლის თავეს შემეგებება:
„შენ შემოგვეღოს ბუბია!“

პარლ. კომპარტამ

ვერაინ, ვერაინ დაიკვებინის, არასოდეს მომშივებიაო. შიმშილი მარტო უქონლობამ არ იცის, მარტო სიღარიბეს არ წინმავს: ხან თამაში გავვიტაცებ, ხან წიგნის კითხვა, ხან მეგობართან საუბარი... მოკლედ, მიზეზს რა გამოლევს, შიმშილის სიძნელე რომ გამოეცადოთ. სხვათა შორის, შიმშილის განცდაც ცხოველების ცოდნას მიეწერება. ჩვენს წინაპრებს უთქვამთ: თუ არ გიმომშილია, მშვიდის წუხილს ვერ მიხვდებით, ანუ მშვიდს ვერ შეიცოდებო.

იმას ვამბობდი. როგორც კი მშვიდი დაეზრუნდებით შინ, არიქა, მშპოა, კარის გაღებისთანავე დაფაფეთებთ ხოლმე ჩვენიანებს. არიქა, მოშივებიაო — ისინიც მამინევე იწყებენ სამზარეულოში ფუსფუსს.

ვერც ერთი სულიერი არსება ვერ ძლებს უჭმელად. ამით ის გამოდის, რომ არც მათთვის არის უცხო შიმშილის გრძნობა და, თქვენ წარმოიდგინეთ, არც უმადლობა.

შინაურ საქონელს პირუტყვს ვეძახით, ანუ ლაპარაკი არ იცისო. მართალია, შინაურ ფრინველს პირუტყვს არ ვეძახით, მაგრამ ისიც ხომ მართალია, რომ არც მისი ლაპარაკი მოგვისმენია როდისმე. ეს ასეა, თუმცა შიმშილი ისეთი ძნელია, ისეთი, ალბათ თქვენც შევიმჩნევიათ, ფრინველი და პირუტყვი პატრონს როგორ „უბნებდა“ გვაჭამეთ: მშვიერი ღორი გააბამს ჭყვივლს და, ვიდრე არ აჭმევენ, არაფრით არ განუმდება. მშვიერმა ცხვარმა ბლავილი იცის, თხამ — კიკინი, ძროხამ და კამეჩმა — ზმულილი, ცენმა — ხეივინი, ძალმა — წყმუტუნი. სახედარი კი სულ იქით იხედება ყურების პარტყუნით, საიდანაც პატრონს მოვლის. მშვიერი ქათმები პატრონს დასდევენ მოკლე-მოკლე ხტუნვა-ხტუნვითა და კრიახით,იხვები — ბაჯბაჯითა და ყვიწყვითით, პატები — ბაჯბაჯით, თან საი-საიო, ინდაურები ისეთი ზღაყუნით დაედევებიან ხოლმე პატრონს, თითქოს ნახანაოც დადიანო, და დაჟინებით მისჩერებიან ხელებში.

ჩიტებიც თავისებურად ამჟღავნებენ შიმშილს, მაგრამ რაკი აღადმიანების დახმარების იმედი არ აქვთ, თავის გატანაც უფრო ამიტომ უჭირთ. თუმცა ვალდებული ვართ მათაც დავუხმაროთ, ვინაიდან შინაურ ფრინველებზე ნაკლები სარგებლობა არც მათ მოაქვთ: ჩვენი ველ-მინდვრების, ყანების, ზვრების, ბალ-ბოსტნების, ტყეების მავნებლებს ანადგურებენ. მათი გალობა-ჭკაჭკის სიყ-



თე კიდევ სულ სხვაა. მაგრამ ზოგჯერ ისეთ დროს ვუყრით საკენკს, როცა შიმშილის გასაჭირი არ ადგათ, ესე იგი, საჭირი არ არის.

ზღვის დასახლებაში, სადაც მე ვცხოვრობ, ჩემი სახლის ერთ მხარეს, გზის გაყოლებაზე, მშვენიერი ბალ-ბოსტნებია. ეს ბალ-ბოსტნები სავესა ნაირნაირი ხეხილითა და დაკვლიანებული, ანუ კვლევად დაყოფილი სურნელოვანი მწვანილეულობით. სახლის მეორე მხარეს კი ისეთივე კორპუსებია ჩარიგებული, როგორშიც მე ვცხოვრობ. შარშანწინ ამ კორპუსების კედლებსა და ეზოებში ამოღლილ ალვის ხეებზე თავიანთი ხელით გაკეთებული შოშობების ბუდეები მიამაგრეს ჩემი უბნის ბავშვებმა. შოშობებზე უარი არ თქვენ მზამზარეულ ბუდეებზე. ბარტყები რომ დაჩეკეს, სწორედ მაშინ, ზემოთა კორპუსის მეშვიდე სართულზე მცხოვრებმა ქალმა პატარა მაგდაა გამოდგა აივანზე, ზედ განიერი ფანერა დადო და დღეში სამჯერ საკენკს უყრიდა შოშობებს. გათენდებოდა თუ არა, ის აივანი სავსე იყო შოშობებით — ბარტყებს საკენკს უზიდავდნენ.

მთელი იმ ხნის მანძილზე, ვიდრე ის ქალი შოშობებს საკენკს უყრიდა, ბალებსავე გაფრენილი არც ერთი შოშობა არ დაშინა ხავს. არადა, შოშობების საყვარელი საქმელი სწორედ ბალ-ბოსტნების მავნებელი მწერებია და სასარგებლო ფრინველადაც ამიტომ ითვლებიან. იმ ქალს კი ეგონა, სიკეთეს ვშვე-

ბიო. ძლივს დააჯერეს, ასე არ შეიძლებაო, და შოშივიც მოედნეს ბალ-ვენახებს.

როცა ჩიტი თვითონაც ადვილად შოულობს საკვებს, მაშინ არ უნდა დაუყაროთ საკენკი. იქნებ არ დაიჯეროთ და, ამით სიზარმაცეს ვაჩვენოთ, სიზარმაცეს ვაჩვენოთ და, რაც მთავარია, საკუთარ ბალ-ბოსტნებსაც ვაზარალებთ ამით.

ახლა ერთ სხვა ამბავსაც მოგიყვებით. ზუსტად ცამეტი წლის წინათ დიდი, ძალიან დიდი თოვლი მოვიდა თბილისში. მთელი დღეები გაბმულად, ხვავრიელად ბარდნიდა და აკი კინალამ მეტრამდეც დადო თოვლი. საითაც გაიხედავდი, ყველგან თვალისმომჭრელი სითეთრე ფენია. ხუბები თეთრად იდგნენ, ბურჩქებიც, სინათლის მავთულებიც კი თეთრად ჩამოიხნიქნენ. მარტო შენობების კედლები ჩანდნენ სხვაფერად. მაშინ იყო, ჩემს უბანს ტოროლები რომ მოაწყდნენ, ტოროლები და სკვინჩები. სკვინჩას ნიბლიასაც ეძახიან და ზამთარასაც.

ბელურა ეშმაკზე ეშმაკი ჩიტია, თავს არასოდეს მოიშოვებს. მაგრამ აი, ტოროლასა და სკვინჩას ძალიან გაუჭირდათ თავის გატანა, — მიწის ერთი გოჯიც არ ჩანდა არსად, ამიტომაც სადარბაზოებშიც კი შემოდოდნენ. გაკვალულ ბილიკზე ან სამაქანო, თოვლით გატყეპნილ გზაზე რომ გავივლიდით, შიმშილით დაუძღურებულნი ტოროლები და სკვინჩები ისე ახლს მიგვიშვებდნენ, ლამის

ფეხი დაგვედგა. მერე კი აფრინდებოდნენ და იქვე სულ ორიოდ მეტრზე ისევ სხდებოდნენ.

სწორედ იმ ხანებში გამოჩნდა ერთი ბერიკაცი: ფანჯრიდან დავიხაზე — ბილიკების გაყოლებით და გზის პირებზე ვინრო ზოლად თოვლსა ხვეტდა ნიჩბით. როგორც კი მიწას გამოაჩენდა, მაშინვე თოვლით ჩაარჭობდა ნიჩაბს, მოიხსნიდა მომჭრო, საველე ზურჩანათას, იქიდან რაღაცას იღებდა მუჭით და მიწაზე აბნევდა.

დიდი მიხვედრა არ უნდოდა და ადვილადც მიეხვდი, რატომაც ირგებოდა ბერიკაცი. მაშინვე ჩავედი ეზოში, ჯერ მივესალმე იმ ბერიკაცს, მერე გამოვართვი ნიჩაბი, ავეყვე-დავეყვით გზა-ბილიკზე და აქა-იქ გამოზომილად გამოვანიხეთ მიწა. მე თოვლს ხვებდით, ბერიკაცი — საკენკს მოაბნევდა ხოლმე. როგორც კი სხვაგან გადავიხადვლუბდით, ჩიტებიც მაშინვე დაედებოდნენ საკენკს. ეშმაკი, ჯიუტი ბელურები ადვილად იბრწყებდნენ სკვინჩებს — ჩახანისკარტებლად იწვევდნენ — ნუ სჭამოთ. ტოროლების დანაგვრაც მოინდომეს, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ — მაგრად დახვდნენ ტოროლები, და ბელურები თვითონვე გადაგნენ განზე. საოცარი ის იყო, რომ ტოროლები სკვინჩებს არ ეჩრდნენ არაფერს.

იმ კვირა დღეს ბევრი ჩემუბნელი გოგობიტი ჩამოგვეშველა. ვინ ნიჩაბს იქნევდა, ვის კიდევ დაქუცმაცებული პური და ხორბალი, ანუ საკენკი მოჰქონდა.

მეორე დღეს სამსახურიდან ბაზარში შევიარე და ხორბალი ვიყიდე, დილა-სალამო დაუყურიდი ხოლმე ჩიტებს. იმ ხანებში, არ ვიცი, უკეთესი რა უნდა გამეკეთებინა!

ერთ სალამოსაც, მე და ის ბერიკაცი საკენკს რომ უყურიდით ჩიტებს, ერთი ტოროლა ათ მეტრამდე აიჭრა ცაში და გალობა დაიწყო. ბერიკაცს გაეღიმა:

— იმ ერთი ჩენი ხალხური სიზღერისა არ იყოს, თუ გვიღიხნის, შვილო, „იანვარში შეიძლება მოგვიბრძანდეს გახეხული“.

მერე და მერე ზამთარი გატყდა — თოვლმა დნობა დაიწყო. მიწა გამოჩნდა და სკვინჩებიცა და ტოროლებიც წავიდნენ. მას აქეთ ისეთი დიდი თოვლი აღარ მოსულა თბილისში და აღარც სკვინჩები და ტოროლები გამოჩენილან ჩემს უბანში.

ჰო, მაშინ ძალიან, ძალიან უჭირდათ ჩიტებს და აკი დავეხმარეთ კიდევაც.

აი, ამ დროს უნდა გამოვიდოთ თავი და არა მაშინ, როცა საკიბლოს შოვან არ უჭირთ.

აი, ამას ჰქვია კარგი ბიჭობა, კარგი ბიჭობა და კარგი ქალობა.



ჯანსაღი სიამოვნება

თოვლის სიამოვნება

შავი, შავი გაოქნა,
ლა შაქრისა კბილადა,
შეშალა ჯიბი კაბოვდა,
ერთი ხეცვით, კაბოვდა.

ამაღი ქუჩი, თბილი ჩიხა—
სამოსია, ზამთარია...
შეკვდა, ჩემი თოვლები
ზამთროსთვის მზად არიან.

ჭრე შა, კობრულს კოვალს
მეტი ღვინა ჯიბი კობრის,
სულ ზორელი ფოთი თოვლიან
მაძგეოთიდან შივის.

სულ ვინღო-ვინღო მოეწერეთ,
გზად ზევი გადგავდეთ,
ამდენი თოვლი მისკვდა,
გაზაფხულამდე გვეყოფ.

ციფის რაღმა არის ციფი,
დათვის რაღმა—დათის,
დაუწყებთ მაღან ციფით
მე, ვას და ზოთხა.

ბუნების მთა სრავლით
ცხი ჭრისა ცხივინა,
თოვლი ახერხებს შიხა,
იმის შიხას გადაწყვია,
დასხი ბაქურასანს,
ამხსან არაფერია.

თუ ვინაზეს ვერხვანს,
დათვალა ვერხვანს—
სურია ღვინა მუხანს
წიაფურს ვერ მუხვანს.

ფოთი, შინა დასტე
მე ოცნებე ტეხვანს,
სხედანსხედათი ხარ,
წიახვანს ვერ დგანს.

სამუხს უმღერან
შელები ჯვანებო,
— ვინებეს ვერხვანს
თოვლის ბრწყინალებო.

ზოდა,—ამხსნის სამეც,—
არც სურს ვაწყებოთ,
შელის სურს ვერხვანს
ციფის ციფურებო.

მინც დამდამით
შელები იქ რხებინ,
სცდა ნამებია,
სცდა ვინებინა.

შეთანხმებთ სარაულიან
წიაფურით რომ იფურებო,
სამეცა და სამეცა
შინა ვინებო ციფურებო.

ვერხვანს რომ გვინაზეს,
ამხანთი სრავლით,
მთვანს ვეცო-ბიჭებს
დაუწყებთ რეინებო.

თოვლისფერია ბროლი,
ბროლისფერია თოვლი,
ბბბუკას თქმეს დასტე
შივად თოვლის ფერი ზოლი.

ბბბუკიდან აჭეიციბე
წახლი ზღარბუნს ცოლი,
მაბუკას დაბდებო
ბბბუკ გეუწე სროლით.

ჭრელები ვინა ფაქვებოთ
წიაფო, დათვანო,
ვინც ტეხვანს მუხანს ხლი,
თამაშა არ ბეურთო.

ამ ღამით გამოვადებთ,
სანამდე თოვლი დადებთ,
ვინათი, რა მთაზე დადებთ
გაზაფხული რომ დადებთ.



პირველი მხატვრის ამბავი

ჯურაბ ნაღირაძე

მხატვარი ელზარე ამბოქაძე

გამოქვაბულის აღმსიანებზე რომ ამბებს გაუცნობადით, ჯერ კიდევ მაშინ უნდა მესამბნა ძველი ქვის ხანის ხელოვან ხალხზე. მაგრამ ახლაც არ არის გვიან, და ორიოდ სიტყვით მოგიხსრობთ იმ მხატვრებზე, რომლებიც ჩათალ-პიუტელებზე თხუთმეტი ათასი წლით ადრე ცხოვრობდნენ საფრანგეთისა და ესპანეთის გამოქვაბულებში.

ზუსტად და დანამდვილებით ვერაფერს იტყვის, როდის მოხდა ეს ამბავი, მაგრამ ეს მოხდა ესპანეთში ალტამირას გამოქვაბულში, დაახლოებით ამ ოცდახუთი ათასი წლის წინათ. საღამოვამს მონადირეებმა შუბის ტარზე ფეხებგაკრული, მხრებზე აკიდებული ირემი გამოქვაბულში შეიტანეს და იქაურობა სიხარულის ყიფინამ შესძრა. მოხუცებს, ბავშვებსა და ქალებს უხაროდათ, რომ ყველა მონადირე შინ ხელდაშვენიებული დაბრუნდა. მონადირეებმა ვეებერთელა ირემი კაყის ბასრი დანებით გაატყავეს. საღვთის შუაგულში მოგობიზე კოცონს შემოუსდნენ და მწვადები ააშიშხინეს. გამოქვაბულში სიჩუმე ჩამოვარდა, გემრიელ ვახშამს ყველა მადიანად შეეცეოდა. მხოლოდ ერთ ახალგაზრდა მონადირეს არ დაუტკრებია პირი ხორცისათვის. სულ თვალწინ ედგა ის ულამაზესი ირემი, ხელშუბებით რომ განგმირეს

და კაყის დანით ყელი რომ გამოლადრეს, ვახშმის შემდეგ ყველამ დაიძინა, ბიქს კი რული არ მოეკიდა, თვალს დახუჭავდა თუ არა, ალით განათებულ სივრცეში ირმის სილუეტი აილანძმებოდა. ის აოცებდა, რომ თვალები დახუჭული ჰქონდა და ირემს მინც თვალნათლივ ხედავდა. რალაც უტანურმა შინაგანმა ძალამ უბიძგა, კოცონის გვერდით დაგდებული დანაზშირებული ტოტი აიღო, ცეცხლით განათებულ კედელთან მივიდა, თვალები დახუჭა და სივრცეში ისე გამოსახა ცხოველის სილუეტი. თვალი რომ გაახილა, ბიქს ისევ უბიძგა შინაგანმა უხილაგმა ძალამ და ხატვა დაიწყო. ოქროსფერი ქვიშაქვის კედელზე ირმის ყურები გამოხატა, მერე ხაზით ყურები შუღლს შეუერთა, ყვრიმალე აღნიშნა, ქვეშ ირმის სვედიანი ლამაზი თვალი ჩახატა, დრუნჩი შემოუმრგვალო, მოკლე ირიბი ხაზებით ნესტოები ჩაულრმავა და კედელზე ირმის ლამაზი თავი გამოხატა. თავს მკერდი მოაყოლა, ზურგი და მუცელი ლამაზად გაოლუყვანა. ფეხები ისე მიუხატა, როგორც ძალაგამოღებული დაქრილი ირემი წაქცევის წინ უკანასკნელად დაინახა. მთელი დამე ხატავდა. გაუგონარი, მანამდე არახული საქმე მოიმოქმედა. ალიონზე გამოქვაბულის კედელზე ირემი იდგა. ირემი, რომე-

ლიც აღარ არსებობდა, მისმა ხელმა ჯადოსნურად გააცოცხლა და სამუდამოდ უკვდავყო. ბიქი გამოუტნობმა შიშმა შეიპყრო; უკან დაიხია, მუხლებზე დაეხმო, საკუთარმა ნამოქმედარმა ააღელვა, პირიდან აღტაცებული, თან შიშის მომგვრელი ღრიალი აღმოხდა და თანამომეგებს ხელოვნების დაბადება ამცნო. გამოქვაბულში ყველამ ერთბაშად გაიღვიძა. მზერა ჯერ გაცოცხლებულ ბიქს მიაპყრეს, შემდეგ იმ კედელს, რომელსაც იგი მისჩერებოდა და თავზარი დაეცათ. კედელზე ირემი იდგა, ის ირემი გაცოცხლებულიყო, გუშინ რომ მოკლეს. ეს ამბავი ყველამ ავის მომასწავებლად მიიჩნია და სახეშეშლილი ხალხი მიწაზე დაემხო. მხოლოდ პატარა ბავშვები გაახარა ნახატის ხილვამ. ტუქუიან თითებს ირმისაკენ იშვებოდნენ და ბარტყებივით ტყლოპინებდნენ. ბავშვების საქციელით გათამამებულებმა მხატვარმა ისევ აიღო დანახშირებული ხის ტოტი, კედელს მიუახლოვდა და ხატვა დაიწყო. მსხილი, ძლიერი რქები დახატა, რქებს ქვემოთ ფართე, მრისხანე შავი თვალი გამოიყვანა, შუბლი ჩაუშავა, დრუნჩი შემოუმრგვალა და კედელზე ძლიერი გარეული ხარის თავი გა-

მოჩნდა. ადამიანებს შიშის შეუწეველდით, ასეთი სასწაულმოქმედი ბიქის საქციელით, მორჩულეს ხენ და გულში მოამისადმი სიყვარული დაქალო. მოკრძალებმა ჩაესახათ. ზოგმა ყმაწვილმა ასეთივე ნახატის შესრულება სცადა, მაგრამ ვერ შეძლო და ხელოვანს შურის თვალი შეგვლო, მაგრამ უმრავლესობა უღიღესი მოკრძალებით გაყრობოდა მხატვარს სიკბაუკიდან სიბერემდე, და მის მიერ დახატული ცხოველები, ცხოველები, რომლებიც მათი სიცოცხლის წყარო იყო, თავანისცემის საგნად გაიხადეს. ასე დაიწყო ქვის ხანის უტნობმა მხატვარმა გამოქვაბულების ფრესკებით შემკობა, ხოლო მისმა მიმდევრებმა საუკუნეების მანძილზე ესპანეთისა და საფრანგეთის ტერიტორიაზე მრავალი გამოქვაბული მოხატეს და ხელოვნების ნამდვილი შედეგები შექმნეს. მერე, ისე როგორც ჩვენში, საფრანგეთშიც და ესპანეთშიც ადამიანებმა გამოქვაბულები მიატოვეს, ხეობებში და გორაკებზე სახლები ააშენეს, მიწათმოქმედება დაიწყეს. გავიდა ხანი და ისიც დაავიწყდათ, რომ ერთ დროს გამოქვაბულებში ცხოვრობდნენ, და, რა თქმა უნდა, წინაპართა მიერ შექმნილი მხატვრობაც აღარავის გახსენებია.



პეუსნიისა და კვერნის განსაზღვრება

ეს ამბავი, ზატარებო,
 უსარმასარ ტყეში მოხდა,
 ზაწაწინა კვერნა გზაზე
 ხალხებიან ვეფხვს შემოხვდა.
 კვერნის საღამოს ვეფხვმა უძალ
 უზახუხა ბოხი საღამით,
 მხოლოდ აკლდა კვერნას, მკვრამ
 ვეფხვი ზგავდა ნახტს ეღმით.
 კვერნამ უთხრა: კრული ბეწვით
 სულ ტყუილად მოგაქვს თავი,
 კვერნა დამიგრავეს ვეფხვა, შენს ტყავს
 სჯობს ათასჯერ ჩემი ტყავი.
 უძვირფასეს ბეწვისათვის
 კაცთა მოღმა უღვთოდ გვხობავენ.



მკვირად ვიმკით უხვად:
 ქალთა აღერეს, ქალთა ღოცვას.
 ვეფხვმა მშვიდად უზახუხა —
 წინასწარვე განზრახული:
 ჩემო კვერნავ, ძაღლის თავი
 სხვაგან არის დამარხული.
 აღამანს შენს ტყავს ბეწვად
 ურჩევნია ჩემი ტყავი,
 მკვრამ ჩემსე, შიმის გამო,
 ვერ ნადირობს სცნადავი.
 იცის, თუკი დამცდინა
 ტყვია, ანდა დამკრა მხოლოდ, —
 უპრაფურო ვერ უძველის,
 სიკვდილია მისი ბოლო.
 თქვენ ვი ვიჭირთ სკუთარი
 თვისა და ტყავის დაცვა...
 ეს უთხრა და უსარმასარ
 ხის ქვეშ ვეფხვი მშვიდად დაწვა.

ანა სოფიანი

აქ ვინა, მძესთან, სოფლად
 არ უნდად წასულე ანს,
 მამიდემ არ დაიძლა,
 ძღვისძლად წაიყვანა.
 აიტაცა შევიდიშვილი
 დე ჩაიკრა გულში ტანსამ:
 ვაიხარე,
 შენი მოსვლა
 მიღამაზებს ესოკარსო.
 იქიდან რომ ჩამოვიდა,
 ანამ
 დედან უთხრა ასე:
 ბებისთან მოფერება
 არვინ იცის ქვეყანასე.



რო გაუთინა დავინა

ბუმბ მითხრა:
 მოდიდა
 ჭიქით შესვი
 მოდი, დო.
 არ ვარ შედღესვალთი,
 დო მაშინვე დავლით.



მალა, მთებში, ტანშემოძარცველ ტყეებში პირველთოვლობა, ჯადოსანმა ზამთარმა თეთრი სამკაული დაჰკიდა ნაძვებს, უნახს მაცქანში გაახვია ტოტები; მინით მოჭიქა, მოაფარაყა მთის ნაკადული... დუმოლა დაისადგურა ტყეში, მოჯადოებულ სამეფოსავით გაირინდა მიდამო და დაიჩინა მინამ, უფაფუკეს ბენვეულში ჩათბუნებულმა.

...ტყის გარშემო ფრენით დაღლილი ჭრელი კოდალა ბებერი მუხის ტოტზე ჩამოჯდა. ტყის უამრავი საიდუმლოა მისთვის ცნობილი. თუ ერთბაშად შემოიძარცვა მუხამ შეემოდგომის ხმელი ფოთლები, ეს იმას ნიშნავს, რომ არც ისე ძნელი და გაუძღისი ზამთარი იქნება ტყის ბინადართათვის. დაჰკრა კოდალამ საცდელად მაგარი ნისკარტი მერქანს და ისე განიბნა ბგერები ჰაერში, თითქოს ჩათვლემილ ტყეში დაიფანტაო მრგვალი მძივები — ჯერ მსხილები, შემდეგ უფრო წვრილები. გამოცოცხლდნენ ხეები, გამოფხიზლდნენ ჯადოსნური ძილისაგან. ტირიფმაც გაიღვიძა და კეთილ კოდალას პატარა ტოტი გაუწოდა საშველად. მხარზეოთ მოხედა ბრქენმა კოდალამ:

— შენი რიგიც დადგება, მიზეთუნახავო, ჯერ კი მადროვე, მოხუცს ვუნამლო. — გაადაიხარა უჩან და მთელი ძალით დაჰკრა ნისკარტი ქვასავით მერქანს. კიდევ რამდენჯერმე დააკაუნა იმავე ადგილზე, პატარა ნახვრეტი ამოწორკნა და ჭიასაც მისწვდა.

— ცის-თვალა, ცის-თვალა, ცის-თვალა! — თავის წმინდა, წკრილა ხმით მოწმენდილ ცას შეჰხაროდა წინკანა.

— წინკანა, მოდი, აქეთ მოფრინდი! გასაძახა კოდალამ, — ერთი საქმე მაქვს გასაკეთებელი და უნდა დამეხმარო. მე მუხას ჭიებს მოვაშორებ, შენ კი მაშინვე წაიღე და ეგე იმ კუნძუზე დაანყვე. კარგი?

— კარგი, პაპა კოდალავ, — ამბობს დამჯერი წინკანა, — თუკი გჭირდება, როგორ არ მოგეშველები! მით უმეტეს, რომ ეგ საქმე პატარაა და იოლი.

— პატარა საქმე დიდ უსაქმობას ყოველთვის სჯობს. — მიუგო კოდალამ, გადმოფრინდა კუნძუზე, ფრთით გადანმინდა თოვლი, მერე კვლავ დაუბრუნდა თავის ადგილს და მუშაობა განაგრძო. არც წინკანა იყო უსაქმოდ. როგორც კი კოდალა თავისი ნებოვანი ენით ჭიას დასწვებოდა, ისიც იქ-

ვე გაჩნდებოდა, ჩამოართმევდა და კუნძისკენ გააქანებდა. არც ერთი არ გადაუნახავს, თუმცა კი სული ელეოდა შიმშილისაგან. ის კი არა და, თვითონაც ხან ობობას მოინადირებდა, ხანაც მატლს და მაშინვე სუფრაზე აწყობდა. დროადრო იხედებოდა მისკენ მოხუცი კოდალა და უხაროდა. „უყურე ერთი, ტანით ციცქნაა, საქმეში კი მარჯვე და მოხერხებული“.

— აბა, ჩემო წინკანა, გვეყოფა სადღეისოდ, — ბოლოს თქვა კოდალამ. ხვალიდან კი ტირიფს მივხედოთ. მოშვილი იქნები, აბა, მიირთვი, მერე რა, თუ ნაირ-ნაირი არა გეაქვს, ხომ ხედავ, რამდენია.

ნათქვამია: შიმშილმა „ხმელა“ არ იცის და არც სიცივემ „ძველო“, — წინკანაც ადგა და კოდალას გვერდში მიუჯდა.

სწორედ იმ დროს მარწუხამ ჩამოიფრინა გაშლილ სუფრასთან.

— საით გაგიწვია, მარწუხავ? — შეეითხა კოდალა.

— აქვე, ნაძვანისაკენ, პაპა.





17. 973



ნი კერძი გასინჯე. განა სულ გირჩებუ...
ჩიჩქნიდე. პატარებსაც ნაუღე ცოტა...
გამოგიგზავნათ-თქო.

— დიდი მადლობა! ნათქვამია: „თუმცა სახლი სავსე არიო, მიხარის ნაუქარიო“.

უცერად სტვენა-გნიასი ატყდა ტყეში. მხიარულ გუნდად შეკრული გულწითელა სტვენიები მოფრინავდნენ ყვილ-ხივილით.

— მოიცათ, რნავერბო! — გასძახა კოდალამ და ისინიც სუფრასთან მოიწვია.

მოსალამოვდა. ნამოიშალნენ ტყის ჩიტები. დაღლილმა კოდალამ სახლს მიაშურა დასასვენებლად. მარტოდ დარჩენილმა წინკანამ კი ისევ ნამოიწყო თავისი უბრალო, სკრიალა სიმღერა.

ამ დროს ჩამოიბრინა ტყის ყაჩაღმა — მგელმა.

— რა გამღერებს, შე ტუტუცო? — ბრაზიანად დაუღრინა წინკანას. მოულოდნელობისგან შეკრთა ჩიტი. მერე კი ჩაიცინა და უპასუხა:

— ის მამღერებს, რომ ერთგულ მეგობრებთან ერთად ზამთარშიც კი მიღბნის და სადარდებელიც არაფერი მაქვს.

კიდევ უფრო გაბრაზდა, დაიბოღმა მგელი. მწვანე ნაკვერჩხლებივით დააბრიალა თვალები და ჯიქურ გადახტა წინკანასაკენ. ვაიღრჭიალეს დანასავით ბასრმა კბილებმა, მაგრამ წინკანა არხეინდა გადაფრინდა ბუჩქიდან ხეზე, და საკუთარი ენა-ლა მოიკვინტა ყაჩაღმა.

მთებს მიღმა ჩაეშვა ვერცხლისფერი მზე. ჩაიძინეს ცხოველებმა და ფრინველებმა, რათა ხვალ ახალი საზრუნავითა და მხიარულებით აღსავსე დღეს შეხვედროდნენ...

...იო ირიყაჟა კიდევ. პატარა სხივმა გაუბედავად შეიჭყვიტა ფულუროში და კედელზე ვარდისფერ ლაქად აცივავდა. გაიღვიძა კოდალამაც, შეიფრთხილა, თავი აქეთ-იქით გააქნია და ძველი ადგილისაკენ გაფრინდა. ამჯერად ტირიფზე ჩამოჯდა, ძირს დაიხედა და თვალებს არც კი დაუჯერა. ხომ არ მოჩვენება ახლად გამოღვიძებულს? — რაც კი რამ გემრიელი საბუნსავი მოიბოვება ტყეში, ყველაფერი კუნძზე იყო დახვავებული: ძახველის წითელი, გამჭვრივალე საყურეები, სვის მოლურჯო კურკები თუ წნავის კაშკაშა წითელი ბურთულები. აქვე იყო კუნელის მარცვლები, გირჩის თესლები და ფთორის თეთრი მაგრალიტებიც... მიხვდა ბრძენი კოდალა, რაშიც იყო საქმე და ჩაელიმა, „პარგი შქენი, ქვაზე დადე, გაიარე, წინ დაგხვდებოა“, — გაიფიქრა გულში.

— ისევ გირჩებით გადიხარ იოლას?

— მაშ როგორ, ჩვენთვის მაგაზე გემრიელი საქმელი არაფერია ქვეყნად, ეგრე მოგვდგამს ათა-ბაბადან. — ეუბნება მარწუხა.

— შენი ცოლი სადღა დასტოვე, განა განუყრელი მეგობრები არა ხართ ერთმანეთისა? — კითხულობს წინკანა და ნისკარტს იწმენდა.

— ბაღლებს უვლის, დაო წინკანავ. თოთო ბარტყების პატრონს საქმეს რა გამოუღვეს?

— ამ შუა ზამთარში არა სცივათ, განა, პატარებს? — უკვირს კოდალას.

— რას ამბობ, პაპავ! მთავარია მაძღრები იყვნენ, თორემ უარეს ყინვებსაც გაუძლევენ. აი, ნამოიზრდებიან, დავაფრენთ ბუდიდან და ახლებს ვიყოლიებთ. აბა განსაჯე, პაპავ, უბარტყოდ ცხოვრება რა ცხოვრებაა?

ტალიმა კოდალას: — მართალი ხარ, ვერაფერს ვიტყვი... გამრჯე და კეთილი ჩიტი ხარ, მარწუხავ... აბა მოდი, დაგვეწვიე, ჩვე-

პავ. სარ. კ. მარტიო
სახ. სახ. რესპ. ბ.
ბიბი



თანად მასწავლებელთა დახმარება პროექტი მრეწველობა

გია მეტისმეტად დაუდგრომელი ქი ბიკია. ამასთანავე უფლისყურის დარი მასზე უფროსია, უფრო ღინჯიც და დაკვირვებულიც.

ამას წინათ გია ეზოში ფეხბურთს თამაშობდა, უეცრად ბურთს მთელი ძალით გაჰკრა ფეხი და მარტოხელა მეზობელ ქალს ფანჯარა ჩაუშტურია.

ნოღარი გამოეკიდა დამნაშავეს, დაიქირა და მაგრად მიტყემა.

სამართლიანად მოიქცა თუ არა ნოღარი?


ზუსტანა მგალაძე



გელუნიკი

ბელურებო! ბელურებო!
ხომ ხედავთ, რომ აღარ თბილა,
თოჯლის თუთრი ფანტელები
არ გეკონათ ბაშბის ფთილა.
აივნიდან გინტეოდით,
თვალეებს როგორ ატყვებდით,
როცა ჯამყე დაუთარუთ
ბურის წურილი ნამტყვები.

ტიტლიკანა აღვის ხეებს
აქნაუებს ბადში ქარი.
გამოვალეებ ფანჯარას და
დაკვიმშეუნთ ბეგშეებს მხარი.
ეინვა მოდის ბროღას სმლით და
მთებს და ვვლეებს ნისლი ბურავს,
შემოფრინდით, ჩამვის ხესთან
იქლურტულეთ თქვენებურად.





ვისკითხი

ალექსანდრე ლიბაგაშვილი

ბუნის ხმაზე გული ლეღავს,
მოუსვენრობს მურიკელა—
ვძიებვიღობთ მე და კობა
რა სპორტია?

გაეოხანე

ზოთა ამირანაშვილი

გაზღავთ მოძრავი ოთახი,
ციდა კარადის ხედა,
რომელ სათულზეც იწურებ,
აგაგრიადებს ხედაე.

პატრე გოჩალი

ხის ტანი აქვს, რკინის—კბილი,
ის ოსტატის ხელში ეღავს,
დასრიადებს ფიცარზე და
პირიდან ყრის ბურბუშუნას.

* * *

ძნელია მოსაოვებდაე,
სუყვედას გაგვეგონებათ,
მისი მოხვევა გერჩიოთ
მთელი მსოფლიოს ქონებას.

ჭიქო

საქართველოს ალკე ცე-ისა და
ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერ-
თა ორგანიზაციის რესპუბლიკურ-
რი საბჭოს ეურნალი უმცროს-
კლასელთათვის.

გამოღის 1927 წლიდან.

საქ. კვ. ცე-ის გამოცემლობა.

მთავარი რედაქტორი
ნანძარ ნიშარბაძე

სარედაქციო კოლეგია: მდურად მამო-
ქაძე, ილია ანთოლაძე, მირ მამო-
ნიშვილი, გოლომონ მამოხანა-
შვილი, ლეილა შარა, მანანა კობა-
შიძე, გელა ლოსაბერიძე, მამადა
მამალოშვილი, ჯურას ნაღრიძე,
გიორგი გომინიშვილი (სამხატვრო
რედაქტორი), თენგიზ ხალაური (პ.მ.
მღვაწი), გივი ქნულაძე, გივი ბიძი-
ნაძე, მანანა ხანიძე.

ტექნიკური რედაქტორი
ენლი წირეთელი

მისამართი: რედაქციის, გამოცემლობის,
სტამბის—ბიბლისი, ლენინის, 14. ტელ.:
მთ. რედაქტორის 93-41-80, 93-98-15;
პ/მე. მღვანის 93-10-32, 93-98-18; ს.მ.მ.
რედაქტორის — 93-98-18; განყოფილე-
ბების: 93-98-19; 93-98-17.

გადამცემა ასაწუხად 29. 12. 84 წ., ხელმო-
წერილია დასაბეჭდად 21. 02. 85 წ., ქა-
ღალღის ზომის 60x90/8, ფოტ. ნაბ. ფურც.
შ.ს. ტირაჟი 100.000, შედეგითა 2982.

უფაზე მხატვრული
მუშაურობისათვის

«Дила» («Утро»), ежемесячный
журнал ЦК ЛКСМ Грузии и Гру-
зинского Республиканского Совета
Всесоюзной пионерской организации
им. В. И. Ленина для младшекласс-
ников, на грузинском языке.

Отпечатано в типографии издатель-
ства ЦК КП Грузии.

Главный редактор Энвер Нишара-
дзе (тел. 93-41-30).

Адрес редакции и издательства:
380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.

Объем 2,5 печатных листа, тираж
163000. Заказ № 2932.

იმომი

მხატვარი

მელხარე ამბოჯაძე



დღეს ვაიწყენი:
ყურადღებას წყ მივაქვებ,
შვიდო, მან მანჭივებს.



-შენე, ნიანო, რობორ
ყრყყამს თავის ძმანს,
ალბათ ორიანი მიიღო!
-ანა, რომ ან
მიიღოს, მიიღო
ყრყყამს!

